

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და  
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ბრძანება

01. 09. 2017 წელი

108/2

----- ქ. თბილისი № -----

საგამოცდო პროცესების და შედეგების გასაჩივრების ინსტრუქციის  
დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის № 05/91 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-20 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. **დამტკიცდეს** სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოცდო პროცესების და შედეგების გასაჩივრების ინსტრუქცია /დანართი № 1/.
2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საორგანიზაციო სამსახურს.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. № 6.

რ ე ქ ტ ო რ ი

გიორგი მარგველაშვილი

სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო  
უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება № 108/2 01.09.2017 წელი

საგამოცდო პროცესი და შედეგების გასაჩივრების  
ინსტრუქცია

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სემესტრულ დასკვნით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას, უფლებამოსილია, შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში დასაბუთებული საჩივრით მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს ან უნივერსიტეტის რექტორს (იხილეთ ქვემოთ) და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა.

შუალედურან/დადასკვნითგამოცდაზეგამოუცხადებლობისშემთხვევაშიგამოცდის აღდგენის, დამატებით გამოცდაზე გასვლის პირობები და სტუდენტის მიერ მიღებული შედეგის გასაჩივრების მექანიზმი რეგულირდება აღნიშნული ინსტრუქციით.

შუალედურ გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში (განსაკუთრებული საპატიო მიზეზით- ოჯახის წევრის გარდაცვალება და უნივერსიტეტის სახელით საგანმანათლებლო-კულტურულ, სამეცნიერო, სახელოვნებო-შემოქმედებით ღონისძიებაში მონაწილეობა), გამოცდის აღდგენა დასაშვებია გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს ერთიკვირისა. სტუდენტმა გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს მე-3 დღისა შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის დეკანს და წარუდგინოს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზების დამადასტურებელი არგუმენტები და მტკიცებულებები (დოკუმენტი/ცნობა). სტუდენტის განცხადება დეკანის მიერ განიხილება 2 სამუშაო დღის ვადაში და გამოიცემა დეკანის ბრძანება, რომელიც დაუყოვნებლივ ეცნობება სტუდენტს და შესაბამისი საგნის ლექტორს.

დასკვნით (ძირითად) გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, გამოცდის აღდგენა დასაშვებია იმავეწესით, როგორც ეს განმარტებულია შუალედური გამოცდებისათვის (იხილეთზემოთ).

სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე იმავესემესტრში, თუ კი შესაბამის სასწავლო კურსში საბოლოო შეფასება (შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგები) აქვს (FX) ვერ ჩააბარა- 41-50 ქულა“. თუ სტუდენტმა დამატებითი გამოცდისა და შუალედური შეფასებების ჯამით მიიღო 41 ქულაზე ნაკლები ან არგამოცხადდა, ითვლება ჩაჭრილად და ფასდება „(F) ჩაიჭრა“ შეფასებით.

გამოცდის შედეგები (შეფასება) სტუდენტს ეცნობება შესაბამისი გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში. შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 3 დღისა, სტუდენტი წერილობით საჩივარს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარადგენს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში. დარეგისტრირებული საჩივარი ფაკულტეტის დეკანის მიერ რეაგირებისათვის გადაეცემა შესაბამისი საგნის ლექტორს არაუგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა, რომელიც განიხილავს მას 2 სამუშაო დღის ვადაში. დეკანს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება სტუდენტის შეფასების კომისიური წესით გადახედვის თაობაზე. პრეტენზიის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ლექტორი/კომისიის თავმჯდომარე რექტორის სახელზე წარადგენს მოხსენებით ბარათს სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემაში საგამოცდო ნიშნის ასახვის თაობაზე.

იმ შემთხვევაში, თუკი საჩივრის (პრეტენზიის) წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში არ იქნება განხილული საჩივარი ან ლექტორის მიერ მიიღება უარყოფითი გადაწყვეტილება, სტუდენტს უფლება აქვს საჩივრით მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც საჩივრის განხილვის მიზნით ქმნის სააპელაციო კომისიას. ამ კომისიას უფლება აქვს პირველივე სხდომაზე დაადგინოს სტუდენტის შეფასების წესი, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, როგორც უნივერსიტეტში მოქმედ წესებს, ასევე შესაბამისი საგნის/მოდულის სპეციფიკას.

სააპელაციო კომისია უფლებამოსილია სტუდენტის შეფასება შეცვალოს (მაგრამ არა საუარესოდ), ან დატოვოს ძალაში. აღნიშნული გადაწყვეტილება ფორმდება

შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები და წარუდგენენ უნივერსიტეტის რექტორს. პრეტენზიის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სააპელაციო კომისიის თავმჯდომარე რექტორის სახელზე წარადგენს სამსახურებრივ ბარათს სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემაში საგამოცდო შეფასების ასახვის თაობაზე.